ხაშურის მოამბე

№34 (165) 27 აგვისტო, ორშაბათი, 2018 წელი

28 აგვისტოს მარიამობაა, გიღოცავთ!

28 აგვისტოს მთელი ქრისტიანული სამყარო აღნიშნავს დიდ საეკლესიო დღესასწაულს - მარიამობას ანუ ყოვლადწმიდა ღვმთისმშობლის მიძინებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა უფლის ზეცად ამაღლების შემდეგ მეჩვიდმეტე წელიწადს, იერუსალიმში, სიონში, წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც უწმიდესი დედა მიძინებამდე ცხოვრობდა. ეს დღე ყოველი ქრისტეს მიმდევარისათვის მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ დღეს ხდება ზეცისა და ქვეყნის დედოფალთან ჩვენი შეხვედრა, რათა მოციქულების მსგავსად, დავილოცოთ მისგან, შემდეგ კი სიყვარულითა და ცრემლით გამოვეთხოვოთ მას და გავაცილოთ იგი ზეცას, რომ დამკვიდრდეს სიახლოვეში მისგან შობილ იესო მაცხოვართან, ჩვენთვის მეოხად და შუამდგომელად. დღეს ჩვენ ყველას, რომელთაც კი გვაქვს ჩვენი უფლისა და მხსნელის - იესო ქრისტეს რწმენა და სასოება, წმიდა მოციქულების მსგავსად, ღმერთი უხილავად გვკრებს იერუსალიმში, რათა მოწმენი გაგვხადოს დიდი საკვირველებისა, თუ როგორ მიიბარებს ქალწულ მარიამის წმიდა სულს უფალი ჩვენი იესო ქრისტე და როგორი დიდებით აამაღლებს მას ზეცად. დღეს, ჩვენც, ისე როგორც თავის დროს ქრისტეს მოწაფეებს, ჯერ გვეუფლება წუხილი და სევდა უწმიდეს დედოფალთან განშორებისა, მაგრამ შემდეგ, როცა უფალი გაგვიცხადებს ყოვლად წმიდა ქალწულის მიძინების საიდუმლოს და დაგვანახებს დიდებას, რომელიც უწმიდესი დედოფლისთვის აქვს განმზადებული უფალს, ჩვენი სევდაცა და წუხილიც, უსაზღვრო სიხარულით იცვლება და ჩვენ საკვირველი მადლიერება გვეუფლება ღვთისა. ქალწულის ზეცას ამაღლებით, რაც მისი მიძინების შემდგომ მოხდა, ჩვენ, ქრისტეს მიმდევრებმა, შევიძინეთ დიდი შემწე და მეოხი უფალთან, რამაც ზეცა ჩვენთვის კიდევ უფრო ახლობელი და სასურველი გახადა. ამიტომაა, რომ დღევანდელ დღეს, ჩვენ მხოლოდ ერთი სურვილი გვიჩნდება: რათა ღირსეულად ვაქოთ და ვადიდოთ ყოვლად წმიდა ქალწულის საკვირველი მიძინება და ზეცას დამკვიდრება, როგორც გზა ზეცას ჩვენი ამაღლებისა და გაბრწყინვებისა. ჭეშმარიტად, რომ არა მეოხება და დიდი შეწევნა წმიდა დედოფლისა, ვერავინ მიიღებდა უფლისაგან გამართლებას და ვერც საუკუნო სიხარულს დაიმკვიდრებდა ზეცას. საოცარია, რომ თავისი დიდი სიწმიდისა და სიკეთისათვის, ამ ქვეყნიდან გასვლის წინ, უწმიდეს ქალწულს მისგან შობილმა მოსთხოვა, რათა ეთხოვა მისთვის ნებისმიერი რამ, რათა მას, როგორც ღმერთსა და მის მხოლოდშობილ ძეს, იგი გაეხარებინა. და რა საკვირველია, რომ ქალწულმა მას მარტო საკუთარი სულის ბოროტისაგან დაცვა კი არ შეავედრა, არამედ ქრისტეს ყოველი მიმდევარის მფარველობა და გადარჩენა სთხოვა თავის ძესა და მაცხოვარს. და უფალმაც ისმინა მისი ვედრება, დღესაც ისმენს მისას. ასე რომ, ღვისმშობელი ჩვენთვის შექმნა კიბედ, რომელმაც ზეცას უნდა აგვიყვანოს ჩვენ მკვიდრნი ქვეყანისა და დაგვამკვიდროს უფალთან.

ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს შევთხოვთ უფალს, რომ არ მოაკლოს ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს ხალხს უწმიდესი ქალწულის ლოცვა და მფარველობა. ყოვლად წმიდა დედოფალმა მარიამმა დაიფაროს ჩვენი ქვეყანა ბოროტისაგან და ჭეშმარიტი შვება და სიხარული შესძინოს მას.

ღმერთმა მრავალ მარიამობას დაგვასწროს ყველა.

შიდა ქართლს ახალი რწმუნებული - გუბერნატორი ჰყავს გიორგი ხოჯევანიშვილი

დაბადების თარიღი: 23 აპრილი, 1985 წ.

განათლება:

2002 -2006 წ.წ. - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამართლის ბაკალავრის ხარისხი

2006-2007 წ.წ. - უმაღლესი სამართლის ამერიკული სკოლა, რიგა, ლატვია. სამართლის მაგისტრის ხარისხი, საერთაშორისო სამართლის და ევროკაშირის საკითხებში (L.L.M)

2014-2016 წ.წ.

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი (PhD)

სამუშაო გამოცდილება:

2018 წ. – დღემდე . გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორი.

2013-2018 წ.წ. - შპს. „მაგთიკომი", იურიდიული/კონტრაქტების განყოფილების უფროსი

2010-2013 წ.წ. - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი.

2009-2010 წ.წ. - ვენეციის კომისიის წარმომადგენელი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში.

2008-2010 წ.წ. - კომუნიკაციების კურსები და მიღწევები ეროვნული კომისია, უფროსი იურისტი.

სექტ. 2007 - დეკემ. 2007 წ.წ. - ევროპის საბჭო, ვენეციის კომისიის კონსულტანტი.

იანვ. 2006 - ნოემბ. 2007 წ.წ. - იუსტიციის სამინისტრო, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, სახელშეკრულებო განყოფილება, მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში.

პროფესიული კურსები და მიღწევები:

2015 - დღემდე - ა.შ.შ-ის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მოწილეთა ასოციაციის (EPAG) მმართველი საბჭოს წევრი.

ნოემბ. – დეკემ. 2013 წ. - 21-ე საუკუნის ამერიკის საგარეო პოლიტიკა, uke University-is online კურსი.

2012 წ. – 2013 წ. - საქართველოს შუამავალი ოფიცერი (Liaison Officer) ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტთან (CPT).

2011 – 2013 წ.წ. - პენიტენციის და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენერი.

2010 – 2011 წ.წ. - თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის კურსდამთავრებული.

მარტი - აპრ. 2010 წ. - ლიდერთა საერთაშორისო პროგრამის მონაწილე (IVLP), ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.

2008 წ. - ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება (საერთო სპეციალიზაციით).

2008 წ. - მენეჯმენტის პროგრამა, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (ESM).

2006 წ. - ჰააგის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის საზაფხულო სკოლის მონაწილე.

დაათვალიერეს ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობები

ხაშურის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები მასშტაბურად და თანმიმდევრულად ხორციელდება.

მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი პირველ მოადგილე ზვიად ქურდაძესთან ერთად ადგილზე გაეცნო მიმდინარე და დასრულებულ სამუშაოებს.

სოფელ ზემო ოსიაურში, გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, მოეწყო 3კმ-დე გზის მონაკვეთი. მოწყობილი გზით სოფლების: სატივეს, ახალსოფლის, გომის, ხიდისყურის, ზემო ოსიაურის და ქვემო ოსიაურის 4000-ზე მეტი მცხოვრები ისარგებლებს. გაკეთდა სანიაღვრე არხები, განხორციელდა გზის დახაზვის სამუშაოები და განთავსდა საგზაო ნიშნები. პროექტი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და რეგიონული ფონდის თანადაფინანსებით განხორციელდა და ჯამში 913 449 ლარი შეადგინა.დაბა სურამში, წმინდა მარიამის ქუჩის და ლესია უკრაინკას ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები თანადაფინანსებით ხორციელდება.

წმინდა მარიამის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები ჯამში 212 875 ლარს ითვლის და 670 გრძივი მეტრი გზის მოწყობას ითვალისწინებს, ხოლო ლესია უკრაინკის ქუჩის მოასფალტება 282 145 ლარს ითვლის და 830 გრძივი მეტრი გზის მოწყობას ითვალისწინებს. ორივე ქუჩის პროექტი საბოლოო სახეს სექტემბრის დასასრულს მიიღებს, ამ ეტაპზე ჩიხებში ხრეშის მოსწორება, ხოლო გარკვეულ უბნებზე მეორე ფენა ასფალტის დაგება მიმდინარეობს, პარალელურად, ეწყობა სანიაღვრე არხებიც, რაც შესაძლო სტიქიის პრევენციისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ხაშურში, „მინის ტარის“ დასახლებაში №8 საბავშვო ბაღის მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. პროექტი, რომელიც თანადაფინანსებით ხორციელდება, 538 965 ლარს მოიცავს და მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება. თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი შენობა სკოლამდელი აღსაზრდელებისთვის საუკეთესო პირობებს შექმნის.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა

21 აგვისტოს, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მესამე სხდომა, რომელიც გახსნა გენდერული საბჭოს ხელმძღვანელმა, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მიხეილ ჯანაშვილმა.

საბჭოს განხილვის თემა იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამების ანალიზი გენდერულ მგრძნობელობაზე და მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზის გაცნობა მათთან შესაძლო სამომავლო თანამშრომლობის მიზნით.

აღინიშნა, რომ მომავალი თვიდან იგეგმება ხაშურსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის გენდერული თანასწორობის საკითხებზე შეხვედრების ჩატარება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო საკრებულოს სათათბირო-საკონსულტაციო ორგანოა, რომლის შემადგენლობაში შედიან, როგორც საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირები, ისე მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

შეხვედრები მცირე მეწარმეობის ხელშესაწყობად

21 აგვისტოს, ხაშურში, გომში, სურამსა და ქვიშხეთში, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა. ბიზნესის წამოწყებით თუ გაფართოებით დაინტერესებულ მოქალაქეებს სსიპ „აწარმოე საქართველოს“ წარმომადგენელი შეხვდა და ბიზნესიდეების წარდგენის კონკურსის პირობები და პრიორიტეტები გააცნო. გაიმართა საინტერესო დისკუსია. მომხსენებელმა აუდიტორიის შეკითხვებსაც უპასუხა.

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს კონკურსის წესით მოიპოვონ 20 000 ლარამდე თანადაფინანსება საკუთარი ბიზნეს იდეების განსახორციელებლად.

შეხვედრები ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წამომადგენლების კოორდინაციის განყოფილების ორგანიზებით წარიმართა.

<u>ყურადღება!</u>

ძლიან კარგი შესაძლებლობა ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის!

„კავკასიის ახალგაზრდული კავშირი“ და „მასტერფის საქართველო“ აცხადებს მოტივირებული ახალგაზრდა ლიდერების მიღებას ახალგაზრდულ ცენტრებში სტაჟირების გასავლელად მარნეულის, გორის და ხაშურის მუნიციპალიტეტებიდან პროექტ „ახალგაზრდული რეფლექსი 2.0-ის“ ფარგლებში;

პროექტის ფარგლებში, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ჩამოყალიბდება ახალგაზრდული ჯგუფები, რომლებიც განაგრძობენ მუშაობას ადგილობრივ დონეზე. ახალგაზრდული ცენტრების ლიდერების შერჩევის შემდეგ, (7 ლიდერი თითოეული მუნიციპალიტეტიდან,) ჩატარდება გასვლითი ტრენინგი “ლიდერთა სკოლა“ სექტემბერში, სადაც ახალგაზრდები გადამზადებულნი იქნებიან ტრენერების მიერ კავკასიის ახალგაზრდული კავშირის, დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

ტრენინგების შინაარსი იქნება შემდეგი:

- მართლმსაჯულება
- ადამიანის უფლებები
- ლიდერობა
- საბაზისო კანონმდებლობა
- ახალგაზრდული აქტივიზმი
- აპლიკაციის გაცნობა და მოხმარების წესების ახსნა
- მენეჯმენტი, გუნდის ეფექტური მართვა
- კომუნიკაცია და თანამშრომლობა
- ცენტრების სამოქმედო სტრატეგია

პროექტის მიზანია შერჩეულ მუნიციპალიტეტებში:

1) ახალგაზრდული აქტივიზმით და ჩართულობით, მსუბუქ ნარკოდანაშაულსა და ოჯახური ძალადობის ფაქტებზე რეაგირება, დახმარება და აღმოფხვრა.

2) ახალგაზრდებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისა და ნდობის დამყარება/აღდგენა.

პროექტის ამოცანებია:

1- შერჩეულ სამ მუნიციპალიტეტში „სამართლებრივი გარემოს გაძლიერების ახალგაზრდული ცენტრების“ ჩამოყალიბება,

2- ახალგაზრდების სამართლებრივი ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება.

3) ახალგაზრდული ცენტრების წარმომადგენლების ჩართულობით მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარების და ოჯახური ძალადობის ფაქტებზე რეაგირება, დახმარება.

4 - მობილური აპლიკაციის შექმნა, რომელსაც ექნება როგორც ინფორმაციული

ასევე SOS ფუნქცია, ამ აპლიკაციის გავრცელება, ამუშავება და მონიტორინგი შერჩეულ მუნიციპალიტეტებში.

5 - ახალგაზრდებისა და სამართალდამცავებს შორის კომუნიკაციის დამყარება.

6 - პროექტის მდგრადობა და შექმნილი ცენტრების სამომავლო აქტივიზმის გაგრძელება.

ყველა მუნიციპალიტეტში შეირჩევა ცენტრის ლიდერი, რომელსაც ექნება ყოველთვიური მცირე ანაზღაურება.

გარდა ამისა, ცენტრის წევრებს 5 თვიანი მუშაობის შემდეგ გადაეცემათ:

- ორგანიზაციის ორენოვანი სერთიფიკატი;
- მუშაობის დამადასტურებელი საბუთი;
- შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში;

პროექტის დახურვის ცერემონიალი გაიმართება საქართველოს პარლამენტში.

ცენტრის წევრის მოვალეობა იქნება:

ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების ინფორმირება;

პროექტის ფარგლებში ღონისძებების და მრგვალი მაგიდების ორგანიზება;

ყოველთვიური რეპორტის მომზადება;

დახმარების საჭიროების შემთხვევაში, გამოძახების ადგილზე მისვლა;

პროექტში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, შეავსოთ ონლაინ სააპლიკაციო ფორმა.

განაცხადის შევსების საბოლოო ვადაა: 31 აგვისტო

პროექტის მხარდამჭერები არიან: „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“ სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია, გორის მუნიციპალიტეტის მერია, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია.

დამატებითი შეკითხვებისთვის დარეკეთ: 597 75 79 84; 555 755 977

დედაქალაქს გამორიდებული ოჯახი, რომელიც თავს მშობლიურ სოფელს უძღვნის

„ხაშურის მოამბე" მუდმივად საინტერესო ადამიანების ძიებაშია. ვინც ჩვენი გაზეთის მუშაობას თვალყურს ადევნებს, დარწმუნებით იტყვის, რომ უამრავი უცნობ-ნაცნობი ხაშურელის და არამარტო, ცხოვრება გავაცანით, ვაზიარეთ მათი საქმოსნობის მრავალფეროვნებას. რედაქციამ მრავალი საოცარი ოჯახის კარი გააღო მკითხველისთვის და, ამავდროულად, გულისაც. ამჯერად კი, ჭეშმარიტი ქართველი კაცის, შოთა იონათამიშვილის ამბავს გიამბობთ.

ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, აგრეთვე, ჩვენი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო სამსახურის გულთბილი მეგობრობის ამბავი, მთელი რიგი საინტერესო რე-



სპოდენტები, სწორედ, რომ მათი წყალობით გავიცანით – ბატონი შოთაც, მათ გაგვაცნეს. შესაბამისად, ადვილი მისახვედრია, რომ შოთა იონათამიშვილი სოფლის მეურნეობით არის დაკავებული. მის მცირე ფერმერობაზე რედაქციაში ვისაუბრეთ, მომდევნო დღეებში კი სოფელ კრისხევში სტუმრობაც დავგეგმეთ, თავის საქმიანობას, ბატონი შოთა, სწორედ, ამ სოფელში უძღვება. გასულ კვირას კი, ბატონი ჯემალ გელაშვლის დახმარებით, იონათამიშვილების ოჯახს ვეწვიეთ.

სანამ უშუალოდ, სტუმრობის დეტალებზე მოგიყვებით, ჩვენი შეხვედრის უმთავრეს მიზეზს გიამბობთ, სწორედ ამ ფაქტმაც მიიპყრო, უმთავრესად, ჩვენი ყურადრება. შოთა იონათამიშვილი თბილისში დაბადებულ-გაზრდილია, თუმცა ზაფხულობით, მშობლიური სოფლის კრისხევის, აქტიური სტუმარი იყო. სოფლის და ქართული მიწის სიყვარული, როგორც ხედავთ, ბავშობიდან თან სდევდა. ცხოვრების უმეტესი ნაწილი დედაქალაში გაატარა, მაგრამ ბოლო ხანებში, გადაწყვიტა მშობლიურ ფესვებს დაბრუნებოდა. დაბრუნდა კიდეც მეუღლესთან, ქალბატონ მარინასთან ერთად. მცირე მეურნეობას ერთად და შეხმატკბილებულად უძღვებიან.

პირველ რიგში, გეზი, ბატონი შოთას ბადისკენ ავიღეთ. მასპინძელი საოცარი ენთუზიაზმითა და სიამაყის გრძნობით განმსჭვალული გვათვალიერებინებდა საკუთარი ხელით გაშენებულ ბაღჩას. თითოეულ კულტურულ ჯიშს, რომელსაც ვხვდებოდით, შრომისმოყვარე ადამიანის გამრჯე მარჯვენა ეტყობოდა. დაუღალავი

შრომის და მონდომების შედეგი იყო უხვი მოსავალი – ყველაფერს ბარაქიანად ესხა. ჩვენს თვალწინ ბუდნიდან კარტოფილი ამოიღო მასპინძელმა, და არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ თითო ბუდნიდან, ლამის, კილოგრამამდე ნაყოფი ამოდიოდა. დავათვალიერეთ, აგრეთვე, პამიდვრის სხვადასხვა სახეობა, ერთი ჯიში კი განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომლის ერთი პომიდორიც, არც მეტი არც ნაკლები, ერთ კილოს იწონიდა. მოგვიანებით, ეს პომიდორი შინაც გამოგვატანა ბატონმა შოთამ. ყველა მოწეული პროდუქტი კი, რა თქმა უნდა ეკოლოგიურად სუფთა იყო და ორგანული. „როდის ყოფილა აქომამდე" საქართველოში სტუმარ-მასპინძლობის წესი დავიწყნოდა ვინმეს და ბატონი შოთაც სოფლის ოდისკენ გაგვიძღვა, სადაც შინაური დედალი, კილოიანი პამიდვრები, ქალბატონი მარინას გამომცხვარი ხაჭაპურები და ბატონი შოთას ხელით დაყენებული, საუცხოო ღვინო გველოდებოდა. სუფრაზე სადღეგრძელოებიც გავცვალეთ და კეთილი გულიც. სამომავლოდ, მეგობრობის გაგრძელებაც ვუსურვეთ ერთმანეთს.

გზად შინისკენ, კვლავ გაიღვიძა ჩვენში სიამაყის გრძნობამ და იმედის ნაპერწკალმა, რადგან მივხვდით რომ ჯერ კიდევ არაფერია დაკარგული, როდესაც ასეთი ოჯახები და ადამიანები არსებობენ, ქართული მიწის და სოფლის მოყვარულები – პატრიოტები მიწათმოქმედების ქვეყნად წოდებული საქართველოსი, ერთი მუჭა, მაგრამ დიდი გულის მქონე ჩვენი სამშობლოსი. ოცდახუთკომლიან სოფელში კიდევ ერთი ოჯახის ფანჯრიდან გამოსული სინათლის სხივი სწორედ ის იმედის ნაპერწკალი იქნება, რომელიც ნათლად დაგვანახებს, რომ ჩვენ, ყველა დავუბრუნდებით. დავუბრუნდებით საკუთარ კერას მამაპაპისეულს, დედულეთს თუ მამულეთს. ავითვისებთ თითოეულ გოჯ მიწას, გავაძლიერებთ სოფელს და, შესაბამისად, ქალაქს. მისაბაძი მაგალითი კი, ჩვენო მკითხველო, მოდით, ამჯერად, ამ დიდებული ოჯახიდან ავიღოთ. თუმცა, დამეთანხმებით, რომ სახელმწოფოს მხრიდან ხელის გამართვა სწორედ ასეთ ადამიანებს სჭირდებათ, რათა ამგვარი ენთუზიაზმი ცხოვრების ბოლომდე გაჰყვეთ.

წერილის მიწურულს, ბატონ შოთასთან მცირე ინტერვიუს შემოგთავაზებთ, გაგაცნობთ მისი ფერმერული ცხოვრების მცირე დეტალებს.

- ბატონო შოთა, რამდენი ხანია სოფელში დაფუძნდით?

– დაახლოებით, ათი წელია აქ ვცხოვრობთ მე და ჩემი მეუღლე. კრისხევი ჩემი მამა-პაპისეული ფუძეა. ორი შვილი მყავს, ერთი დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს ოჯახთან ერთად, მეორე თბილისში, სამაშველო სამსახურში მუშაობს. მე და ჩემი მეუღლე კი გმოვერიდეთ დედაქალაქის ხმაურიან რიტმს და სოფლის მეურნეობაში ჩავებით.

- რა ოდენობის მიწას ამუშავებთ და ძირითადად რა მოგ-

ყავთ?

– დაახლოებით, 20 მეასედს ვამუშავებ. ძირითადად, იონჯა საქონელისთვის. აგრეთვე, კულტურული ჯიშები: კარტოფილი, ლობიო, პომიდორი, სხვადასხვა ჯიშები, ბადრიჯანი, კომბოსტო, ბულგარული წიწაკა, მწვანილეული.

- მოწეულს პირადი მოხმარებისთვის იყენებთ?

– მოსავალი იმდენია, რომ ჩემს ოჯახს თავისუფლად ყოფნის და ნაწილს მოსავლისას ადგილობრივად ვყიდით. ვამარაგებთ დედაქალაქში ახლობლებსაც.

- როგორც ვხედავთ, მსხვილფეხა საქონელიც გყავთ?

– დიახ, ოთხი სული საქონელი მყავს, ორი მეწველი ძროხა, ერთი ბუღა და ერთიც ბოჩოლა. შვიცსის ჯიშები. თუმცა, ნახირში წასვლის მსურველი სოფელში ხშირად არ არის და უმეტესად, მე მიწევს წასვლა. ძროხები რძეს კარგად იწველიან, საშუალოდ, 16 ლიტრას. ძირითადად, ყველს ვყიდით.

ბატონ შოთასნაირ მშრომელ და პატრიოტ ადამიანებსს ვუსურვებ დღევანდელ საქართველოს. თავად ფაქტია შესანიშნავი, რომ თბილისელი კაცი დაუბუნდა საკუთარ ფესვებს და, დღესდღეობით, თავს მშობლიურ სოფელს უძღვნის. ასეთი ადამიანების მარჯვენის სიმრთელე ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

თინა ახალკაცი

ნახეთ, რა სკოლა დაარსდა

მიმდინარე წლის 29 იანვარს, გაზეთ „ხაშურის მოამბეში“, გამოქვეყნებული მქონდა წერილი „ვაი, რა სკოლა დადუმდა“, რომელიც ეხებოდა სოფელ ოძისის სკოლის მოკლე ისტორიას. მოხსენებული მყავდა ყველა მასწავლებელი, რომელიც ჩემი თაობის მეხსიერებას შემორჩა და გულისტკივილით აღვნიშნავდი, მოსწავლეთა კონტინგენტის არარსებობის გამო,სკოლის ფუნქციონირების შეწყვეტას. ამავე დროს, სიამაყით აღვნიშნავდი, რომ ამ ჩემი მშობლიური სკოლის კედლებში აღიზარდნენ ქვეყნისათვის საამაყო შვილები, მათ შორის, მეცნიერებათა ორი დოქტორი და აკადემიკოსი, ბატონი ბეგლარ გოგალაძე და სერგო ტეფნაძე, ცნობილი სპორტსმენი გმირა ხაჩიძე, მონღოლეთის სოციალისტური შრომის გმირი ავთანდილ ლომიძე, პოეტები, მამა-შვილი პლატონ და თამაზ ჩადუნელები, მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი (გიგუცა) გოგალაძე, მე-2 მსოფლიო ომის აქტიური მონაწილეები, სახელმწიფოს უმაღლესი ორდენებისა და მრავალი მედლის კავალერები, ავიაციის პოლკოვნიკი შალვა აბაზაძე და სახმელეთო ჯარების პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე, სახელგანთქმული პარტიზანი გიორგი ტალახაძე, ორასამდე გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორი ლევან ტაბატაძე, ძალოვანი სტრუქტურების პოლკოვნიკები ვიტალი ქათამაძე და ამ სტრიქონების ავტორი, ასევე სხვადასხვა დარგის მარალკვალიფიციური ინჟინრები, იურისტები, პედაგოგები, მედიცინის მუშაკები და ა.შ. რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. მოსწავლეებიც მეხუთე კლასიდან სწავლას აგრძელებდნენ სოფელ ოძისში, სადაც ასევე სწავლობდნენ ცივწყაროში მაცხოვრებელი მოსწავლეები. სოფელ წაბლოვანის მცხოვრები

მოსწავლეები, ცედნის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებდნენ სოფელ ოძისში.

სხვადასხვა მიზეზების გამო, სოფელ ოძისის მოსახლეობა დღეისათვის შემცირდა ოციოდე ოჯახამდე, ხოლო ცოცხნარისა შვიდგენს ასამდე ოჯახს.

მრავალი წლის განმავლობაში, ამ და სხვა სიტუაციების გათვალისწინებით, მიმდინარეობდა მსჯელობა სკოლის ცოცხნარაში გადატანის შესახებ, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდებოდა.

ოძისის სკოლის შენობა ისე დაზიანდა და დაინგრა, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი გახდა, ხოლო ახლის იქვე აშენებას კი აზრი აღარ ჰქონდა, რადგანაც სოფელში სასკოლო ასაკის ბავშვები აღარ არიან, დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების ლოდინს კი აზრი აღარ აქვს, როგორც იტყვიან, რაც გინახავს, ვეღარ ნახავ.

წლების განმავლობაში, ამ სკოლის მოსწავლეთათვის სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ცოცხნარის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც ამავე დროს, განლაგებული იყო ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი, ბანკის ფილიალის პუნქტი, ვითომც სარიტუალო დარბაზი და სამასწავლებლო კაბინეტები.

მიღებულ იქნა სწორი გადაწყვეტილება: საკრებულოს ადმინისტრაცია და მითითებული ობიექტები გადაიტანეს ცოცხნარის ყოფილ დაწყებითი სკოლის გამოთავისუფლებულ შენობაში, ხოლო ადმინისტრაციული შენობა მთლიანად დაეთმო სკოლას.

როგორც „ხაშურის მოამბე“-ს მიმდინარე წლის 11 ივნისის №23 (154) იუწყება, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6 ივნისს გამართულ სესიაზე „საკრებულოს წევრებმა თანხმობა მისცეს ოძისის საჯარო სკოლის პედაგოგებს და მოსახლეობის თხოვნას, რომ ოძისის სკოლა იწოდებოდეს ცოცხნარის საჯარო სკოლად და მიენიჭოს ვაჟა-ფშაველას სახელი“.

ასე დაიბადა ჩვენს თვალწინ სკოლა, რომლის იურიდიულად დაარსების წლად და დღედ უნდა ჩაითვალოს 2018 წლის 6 ივნისი, თუმცა, ფაქტობრივად, შენობას სკოლის ფუნქციები შეთავსებული ჰქონდა რამდენიმე წლით ადრე.

ცხოვრება გრძელდება. ერთი სკოლა დადუმდა, მეორე კი ახმაურდა.

ვულოცავ ცოცხნარის საკრებულოს ყველა სოფლის მცხოვრებელს და სკოლის პედკოლექტივს სოფლის ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას და უფალს ვთხოვთ, სკოლა აღიჭურვოს ისეთი მადლით, რომ მასში აღიზარდონ სამშობლოს ერთგული ღირსეული ადამიანები, რომლებიც თავისი მიღწევებით უმნიშვნელოვანეს წვლილს შეიტანენ ქვეყნის უკეთესობისკენ განვითარების საქმეში, ავტორიტეტულ სიტყვას იტყვიან მეცნიერებაში, კულტურაში, სპორტში და მთელ მსოფლიოს გააცნობენ ჩვენი სამშობლოს ამ ულამაზესი კუთხის ისტორიას, რომელიც აღსავსეა გმირობის, სარწმუნოების შენარჩუნების, თავგანწირვის, უანგარო სიყვარულისა და მეგობრობის მაგალითებით, რომ სკოლაში დამკვიდრდეს მომავალი თაობის აღზრდის ისეთი მეთოდები, რომელიც ახალგაზრდობას ჩაუნერგავს ადამიანურობის პრინციპებისადმი ერთგულებას, გაარჩევს კეთილსა და ბოროტს, პატივს სცემს საკუთარი ერის წარსულს და იზრუნებს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის, ქვეყნის გაერთიანებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის, თავისუფლებას გონივრულად შეუთავსებს მორალისა და ზნეობის დადებით პრინციპებს.

მინდა, როგორც მოქალაქემ, მადლობა გადავუხადო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ყველა თანამშრომელს, რომელმაც მხარი დაუჭირეს გადაწყვეტილებას, რომ ოძისის სკოლის ბაზაზე არსებულ სკოლას, დისლოკაციის ადგილის გათვალისწინებით, ეწოდოს ცოცხნარის საჯარო სკოლა და მიენიჭოს ვაჟა-ფშაველას სახელი.

ჩვენი საკრებულოს მაცხოვრებლებს შეგვიძლია ვიამაყოთ საუკეთესოდ შეკეთებული, ინფრასტრუქტურულად გამართული სკოლის შენობა, სადაც ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ აქ მომუშავე მაღალკვალიფიციური პედაგოგების ძალისხმევით, მოზარდმა მიიღოს მაღალი დონის განათლება.

მინდა აღვნიშნო, რომ ყველა შენობას, როგორც ადამიანს, უნდა გააჩნდეს თავისი პასპორტი – ბიოგრაფია და ჟამთა სვლაში ნებისმიერი ცვლილება უნდა იყოს დაფიქსირებული.

მივმართავ სკოლის ხელმძღვანელობას და პედკოლექტივს, რომ ამ სკოლის ისტორიის შექმნა-შენარჩუნებას დღეიდანვე ჩაუყარონ საფუძველი. ამისათვის ვფიქრობ უნდა, შეიქმნას სპეციალური ალბომი, რომლის წინა გვერდებზე აღიწეროს, ან გადმოტანილ იქნას, იმ დოკუმენტაციის ასლები, რომლითაც გადაწყდა ახალი სახელწოდებით ფუნქციონირება, სტიტულო ბლანკების (თავფურცლების) და ბეჭდების ნიმუშები, შენობის სქემატური გეგმა და სურათი. ამის შემდეგ, განლაგდეს ფოტოსურათები სკოლის პირველი დირექტორის, პედაგოგების და ტექნიკური პერსონალის თანმიმდევრობით.

ყველა სურათის ქვეშ აღინიშნოს მათი სკოლაში მუშაობის წლები.

იმ შემთხვევაში, თუ სურათზე აღბეჭდილი პირი მიიღებს სახელმწიფოს მაღალი ხარისხის ჯილდოს, საპატიო წოდებას ან დაიცავს სამეცნიერო ხარისხს, სურათის ქვეშ გაკეთდეს სათანადო ჩანაწერები.

სასურველია, თუ ამ აზრს ყველა სკოლა გაიზიარებს და საკუთარ კვალს დატოვებს განათლების სისტემის ისტორიაში.

თუ არ მოხდება სკოლის ისტორიის შექმნის საფუძვლის ჩაყრა, დაე, ეს წერილი დარჩეს იმ საარქივო მასალათა შორის, რომლის ფონდებშიც დაცული და შენახული იქნება დღევანდელი სინამდვილის ნაპერწკალი, რომელსაც ჩაქრობა არ უწერია, რადგანაც განათლება კაცობრიობის განვითარების საფუძველთა საფუძველია და ყველა დიდი მეცნიერი ბავშვობაში სათითაოდ ნასწავლი ასოებით აგებული კომბინაციებით აღწევს ადამიანის ნააზრევის ხორცშესხმის უმაღლეს მწვერვალებს.

ცოცხნარის სკოლისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების, ანუ იურიდიულად დაფუძნების დროისთვის აქ მოღვაწეობენ: – სკოლის დირექტორი: ბედუნი (ნუკრი) გერმანეს ძე ლომსაძე, რომლის მრავალწლიანი, შეუპოვარი მონდომებისა და უკომპრომისო მოღვაწეობის შედეგია დამდგარი ფაქტი.

მასწავლებლები: ნაირა გოგალაძე, მარინე მიქოიანი, ნანა ლომიძე, ეკატერინე გოგალაძე, თინათინ ხაჩიძე, თამილა გოგალაძე, ნინო ბლიაძე, თამარ იმერლიშვილი, თეა ლომსაძე, ნინო კურტანიძე.

ვულოცავ პედკოლექტივს სკოლისათვის ახალი სტატუსის მინიჭებას, ვუსურვებ ბედნიერებას პირად ცხოვრებაში და წარმატებებს უაღრესად მნიშვნელოვან, აღმზრდელობით საქმიანობაში. ღმერთმა ინებოს და თქვენს მიერ აღზრდილმა ახალგაზრდობამ დიდება მოუტანოს ჩვენს სამშობლოს, მადლიერების გრძნობით დაეფასებინოთ და პატივი ეცეთ თქვენი მშობლისებური მზრუნველობისა და ღვაწლისათვის.

ჩვენ ერთად შეგვიძლია ამაყად ვთქვათ: მოდით, ნახეთ, რა სკოლა დაარსდა!

კურთხეულ იყოს მისი საძირკველი.

რევაზ გრიგალაშვილი

საბიუჯეტო ორგანიზაციებს ხე-ტყის მოჭრისა და დამზადების უფლება ჩამოერთვა

ამის შესახებ ტყით სარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ხაბეიშვილმა განაცხადა. ამასთან, მისი თქმით, მომზადებულია კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც გარკვეული შეზღუდვები რიგით მოქალაქეებზეც ამოქმედდება. თუმცა, კონკრეტულად როდიდან, ეს პარლამენტის მიერ კანონპროექტის დამტკიცებაზეა დამოკიდებული.

ეროვნული სატყეო სააგენტოს მიხედვით, 2013 წლიდან 2015 წლამდე, მნიშვნელოვნად გაიზარდა არალეგალური ტყითსარგებლობის ფაქტები, შესაბამისად, გაზრდილია გარემოზე მიყენებული ზიანიც.

2016 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, შესაბამისი დასკვნაც გამოა-

ქვეყნა, რომლის თანახმადაც: „სოციალურ სექტორში სათბობი შეშის დეფიციტია.

კერძოდ, სოციალური ჭრის ფარგლებში გამოყოფილი რესურსის მოცულობა მოსახლეობისთვის არასაკმარისია და სათბობი შეშის ალტერნატიული წყაროების არარსებობის/სიძვირის გამო, მოსახლეობა მოიხმარს არალეგალური წარმოშობის რესურსს. სათბობი შეშის დეფიციტზე ასევე მიუთითებს უკანონო ჭრების მზარდი ტენდენცია.

შესაბამისად, ცვლილებამ, რომ სახელმწიფომ და კერძოდ, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ თავად განახორციელოს ე.წ. სოციალური ჭრები, უკანონო ჭრის ფაქტები უნდა შეამციროს.

ტყით სარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ხაბეიშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციამ, რომელსაც ტყიდან შეშის გამოტანა სურს, უნდა მიმართოს სატყეო სააგენტოს, რომელიც თავად დაუმზადებს და დანიშნულების ადგილზე მიაწვდის, ან სასაწყობე ადგილიდან თავად გაიტანს.

„საბიუჯეტო ორგანიზაციებს აღარ აქვს იმის უფლება, რომ ტყეში შევიდნენ, თავად მოჭრან და დაამზადონ შეშა. ამისთვის უნდა მიმართონ სატყეო სააგენტოს, რომელიც მის მიერვე დამზადებული ხე-ტყიდან გადასცემს მოთხოვნილ რესურსს. ჩვენ თვითონ შევუტანთ, ან სადაც სასაწყობე ადგილები გვაქვს, იქიდან გაიტანენ. ტყიდან აუცილებლად ჩვენ უნდა გამოვიტანოთ. რაც შეეხება რაოდენობას, რა მოთხოვნაც ექნებათ, იმ რაოდენობის შეშას მივაწვდით“,-აცხადებს გიორგი ხაბეიშვილი.

მისი თქმით, გასულ წელს აღნიშნული შეზღუდვები მხოლოდ საჯარო სკოლებზე ვრცელდებოდა, რომელსაც სატყეო სააგენტომ 30 000 კუბური მეტრი შეშა მიაწოდა. წელს კი, კანონში შესული ცვლილების თანახმად, მათ რიგებს, საბიუჯეტო ორგანიზაციებიც დაემატა.

„საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოთხოვნები უკვე გამოგზავნილია, ამჟამად მიმდინარეობს ამის დაუმუშავება და ეტაპობრივად განვახორციელებთ მიწოდებას“,-აცხადებს გიორგი ხაბეიშვილი.

რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, ტყით სარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის თქმით, ამ დროისთვის მოქალაქეებზე წლის განმავლობაში მთიან რეგიონში 15, ბარში კი 7 კუბური მეტრ შეშაზე გაიცემა ვაუჩერი.

„მოქალაქეებისთვის ისეთი შეზრუდვა, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციებს აქვთ, არ ვრცელდება, თუმცა, უნებართვოდ არც მათ შეუძლით შეშის გატანა. კანონმდებლობით დადგენილია, რომ მაღალმთიან ზონაში წლის განმავლობაში 15 კუბური მეტრის, ხოლო ბარში 7 კუბური მეტრის გატანა შეუძლიათ.

აქ ცალსახად ხაზი უნდა გავუსვა, რომ შემუშავებულია და მთავრობაში წარდგენილია ტყის კოდექსი, რომელსაც სატყეო მეურნეობის წარმოების მიმართულებით შემოაქვს სხვა მიდგომები. თუმცა, ეს კოდექსი მიღებული არ არის და, სამწუხაროდ, მე ვერ გეტყვით, როდის მიიღებენ. ჯერჯერობით სოციალური ჭრების ასპექტში ის ვითარება გვაქვს, რაც მოგახსენეთ“,-აცხადებს ტყით სარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ხაბეიშვილი.

ცნობისთვის, მოსახლეობა საშეშე რესურსს საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული სოციალური ჭრის აქტივობის ფარგლებში მოიპოვებს. შესაბამისი ცვლილება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში 2010 წლის 20 აგვისტოს შევიდა.

ნინი ქეთელაური

- სპეციალისტი გვირჩევს -

რა უნდა ვიცოდეთ მცენარის საშიში დაავადების ხეხილის - ბაქტერიული სიდამწვრის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრე წარმოადგენს საშიშ საკარანტინო დაავადებას, რომელიც ხეხილში(განსაკუთრებით კი ვაშლსა და მსხალში) სერიოზულ დაზიანებებს, ეკოლოგიურ ზარალს და დანაკარგს იწვევს. დაავადების გამომწვევია ბაქტერია Srwinia amylovora რომელიც ძირითადად აზიანებს rosacea (Spirae-oideae) ოჯახის, Maloideae ქვეოჯახის სახეობებს.

როგორია სიმპტომები?

დასნებოვნებული ყვავილები იჟღინთება სითხით, შემდეგ ხმება და ჭკნება, შემდეგ ხდება ნარინჯისფერი ან მოყავისფრო მოშავო.

ყვავილსაჯდომები შეიძლება ჩანდეს სითხით გაჟღენთილი, იფერება მუქ მწვანედ და საბოლოოდ კი ყავისფერად ან შავად, ზოგჯერ ზედაპირზე გამოჟონავს ბაქტერიული ექსუდატი წებოვანი წვეთების სახით;

ინფიცირებული ფოთოლი ჭკნება და ხმება, ყლორტი ვაშლში იფერება ყავის-

ფრად, ხოლო მსხალში მოყავისფრო-მოშავო ფერად.

ახლადწარმოქმნილი ნაყოფი დასნებოვნებისას ყავისფერია ან მოშავო და რჩება ხეზე გარკვეული დროის განმავლობაში. დაუმწიფებელი ნაყოფი ხდება ზეთოვანი, სითხით გაჟღენთილი და ხშირად გამოყოფს ბაქტერიული ექსუდატის წვეთებს.

ტოტებიდან ქერქის მოცილებისას ქერქსშიდა ქსოვილებზე შესამჩნევია დამახასიათებელი მოწითალო-მოყავისფრო ზოლები.

დასნებოვნებული ხეებს ღეროებისა და ტოტების ქერქზე წარმოიქმნება მოყავისფრო – მოშაო წარმოქმნები, რომლებიც ქერქის დახეთქვის გამო, შესამჩნევი ხდება დაავადებული და ჯანმრთელი ქსოვილების საზღვარზე.

რომელია მასპინძელი მცენარეები?

ეკონომიური და ეპიდემიოლოგიური კუთხით, მნიშვნელოვანი მასპინძელი მცენარეებია: იაპონური კომში, ვაშლანა, კუნელი, კომში, იაპონური ზღმარტლი, ვაშლი, ზღმარტლი, პირაკანტა, მსხალი.

როგორ ვრცელდება?

E. Amylovora – ს გავრცელება ლოკალურად მწერებისა და წვიმის საშუალებით ხდება, თუმცა ინფექციის დიდ მანძილზე გადამტანებად ჩიტები ითვლებიან. დიდ მანძილზე ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრის გადატანა მასპინძელი მცენარეებით(რომლებშიც დაავადება არსებობს ლატენტურად ან მიმდინარეობს ძნელად შესამჩნევად) ხდება.

გამოვლენისა და ინსპექტირების მეთოდები

დაავადების გამოსავლენად საჭიროა ჩატარდეს შემოწმება სავეგეტაციო პერიოდში, როდესაც სიმპტომები შესამჩნევია. შემოწმების დრო დამოკიდებულია მასპინძელ მცენარეზე და გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

შემოწმება ტარდება ყვავილობიდან ზაფხულის ბოლომდე, როდესაც სიმპტომები უფრო აშკარად იყო გამოკვეთილი. ზამთარში სიმპტოების გამოვლენა საკმაოდ ძნელია. ლატენური ინფექცია ვლინდება მცენარის ქსოვილებში და დაავადების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

სხვა დაავადებებთან მსგავსება

შეცდომა შეიძლება გამოიწვიოს დაავადების მსგავსმა სიმპტომებმა, რომლებსაც იწვევს სხვა პათოგენური ბაქტერიები და სოკოები, მწერები ან ფიზიოლოგიური დარღვევები. სიდამწვრის მსგავსი დაზიანების სიმპტომების გამომწვევია სხვა ბაქტერიები: erwinia pyrifoliae, რომელიც იწვევს ყლორტების სიდამწვრეს აზიურ მსხალზე(purus pyrifolia); erwinia pirifloringrans-გამოყოფილია ესპანეთში მსხლის ნეკროზული ყვავილებიდან; erwinia uzenensis-ბოლო დროს აღწერეს იაპონიაში და იწვევენ ყლორტების ბაქტერიულ სიდამწვრეს; ასევე pseudomonas syringae pv. syringae, რომელიც იწვევს ყვავილების დაზიანებას.

დადასტურებულად ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრის დადგენა უნდა მოხდეს ლაბორატორიული კვლევების შედეგად.

თუკი არსებობს ეჭვი erwinia amylovora-ს კერის არსებობის თაობაზე, სასწრაფოდ მიმართეთ სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

რჩევა

დაავადების კონტროლისას რეკომენდირებულია ქიმიური კონტროლის ინტეგრირებული პროგრამა შემდეგ ზომებთან ერთად: სანიტარული წესების დაცვა, გასხვლა, ნარჩენების განადგურება, ხეების ვება, რეზისტენტული, გამძლე ჯიშების გამოყენება.

რამაზ ღამბარაშვილი,
სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული
სამმართველოს ინსპექტორი

წმინდა მარიამის მიძინების სახელობის იტრიის დედათა მონასტერი ხვალ უამრავ მომლოცველს ელის

- მინიფეხბურთი -

მუნიციპალიტეტის ჩემპიონი „სელესაო" გახდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში, რომელიც მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის და სასპორტო სკოლის ინიციატივით მიმდინარეობდა, 22 აგვიტოს დასრულდა.

უკვე ტრადიციად ქცეულ ტურნირში 13 გუნდი იღებდა მონაწილეობას. დაძაბული ასპარეზობის შედეგად, მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ჭალის უბნის გუნდი, მეორე ადგილი დაიკავა გუნდმა „დურუ", პირველი ადგილი კი არავის დაუთმო გუნდმა „სელესაო."

გამარჯვებულ გუნდებს სიგელები, მედლები და თასები მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ და სასპორტო სკოლის ხელმძღვანელმა ვანო ხარაზიშვილმა გადასცეს. ტურნირის პრიზიორებმა კომპანია „ლიდერ-ბეთისგან" დაწესებული ფულადი ჯილდოებიც მიიღეს. სასიამოვნოა, რომ ისეთი ცნობილი ბრენდი, როგორიც „ლიდერ ბეთია", ასე აქტიურადაა ჩაბმული მუნიციპალიტეტის სპორტულ ცხოვრებაში და ზრუნავს ფეხბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციისთვის. იმედია, ასეთი თანამშრომლობა ბოლო არ იქნება და ეს კომპანია კვლავაც გააგრძელებს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების თანადგომასა და მხარდაჭერას.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი „სელესაოს" წევრი გიგა იკაშვილი გახდა, საუკეთესო მეკარის ტიტული ასევე გამარჯვებული გუნდის, „სელესაოს" მეკარემ, თემურ ცაცანაშვილმა მიიღო, მაყურებლის სიმპათიის პრიზი კი „დურუს" ფეხბურთელს - ვასილ ბერიძეს გადაეცა.

მინიფეხბურთის ჩემპიონატი ხაშურის მერიის მხარდაჭერით ხაშურის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის პოპულარიზაციისა და ახალგაზრდობის ჩართულობის მიზნით მოეწყო.

- სამბო -

გელა ბარათაშვილის სახელობის ტურნირი დასრულდა

18-19 აგვისტოს, ხაშურში, ჩატარდა, ევროპის ჩემპიონის, გელა ბარათაშვილის სახელობის ტურნირი, ჭიდაობა სამბოში 2000-2001 წლებში დაბადებულ ვაჟებსა და გოგონებში.

გთავაზობთ შედეგებს:

ვაჟები

48 კგ.
1 ადგილი - მეხრიშვილი გიორგი (ხაშური);
2 ადგილი - ხაჩიძე ზურაბი (ხაშური);
3 ადგილი ხურციძე შალვა (ვანი);
3 ადგილი - ათუაშვილი სანდრო (საგარეჯო).

52 კგ.
1 ადგილი - სიდამონიძე ანზორი (თელავი);
2 ადგილი - აბრამიშვილი თემური (თელავი);
3 ადგილი - დგებია დავითი (ფოთი);
3 ადგილი შეყილაძე ირაკლი (ფოთი);

56 კგ.
1 ადგილი - თურქია ელიზბარი (ფოთი);
2 ადგილი - ვარძელაშვილი ვაჟა (გორი);
3 ადგილი - ბედოშვილი გიორგი (ხაშური);
3 ადგილი - არხოზაშვილი ვალერი (გორი).

60 კგ.
1 ადგილი - ბასილაშვილი ნიკა(საგარეჯო);
2 ადგილი - ნასყიდაშვილი გიორგი (ხაშური);
3 ადგილი - ქაქუქია ვიტალი (ფოთი);
3 ადგილი - მარგველაშვილი თორნიკე (ქარელი).

65 კგ.
1 ადგილი - ბუხრიკიძე ნოდარი (ხაშური);
2 ადგილი - რევაზიშვილი გიორგი (გორი);
3 ადგილი - ყორდანაშვილი როინი (საგარეჯო);
3 ადგილი - ლომიძე გიორგი (ზესტაფონი).

70 კგ.
1 ადგილი - ნოზაძე მიშიკო (ხაშური);
2 ადგილი - ლომოური ნიკა (გორი);
3 ადგილი - სოზიაშვილი ნუგზარი (თბილისი);
3 ადგილი - ქალდანი ლუკა (სამტრედია).

75 კგ.
1 ადგილი - ბახბახიშვილი მიხეილი (თელავი);
2 ადგილი - სანაია ბექა (ფოთი);
3 ადგილი - გოგაშვილი გოგა (თბილისი);
3 ადგილი - ტაბატაძე პაატა (ხაშური).

81 კგ.
1 ადგილი - დვალაშვილი ზაური (ხაშური);
2 ადგილი - ადეიშვილი თორნიკე (სამტრედია);
3 ადგილი - გოგიაშვილი თამაზი (საგარეჯო);
3 ადგილი - პერანიძე ელდარი (თერჯოლა).

87 კგ.
1 ადგილი - ჩაგელიშვილი გიორგი (ქარელი);
2 ადგილი - მარღიშვილი ლექსო (ქარელი);
3 ადგილი - სულამანიძე შალვა (ტყიბული).

+87 კგ.
1 ადგილი - სვიანაძე ალექსი (ზესტაფონი);
2 ადგილი - ხარაზიშვილი (ნიკა ქარელი);
3 ადგილი - ბექაური მიხეილი (მცხეთა);
3 ადგილი - ნასყიდაშვილი დიმიტრი (ქარელი).

გოგონები

52 კგ.
1 ადგილი - უთრუგაშვილი ანა (თბილისი);
2 ადგილი - მალაციძე მანანა (საგარეჯო);
3 ადგილი - მინდიაშვილი ხატია (საგარეჯო);
3 ადგილი - ინჯგია მარიკა (აბაშა).

56 კგ.
1 ადგილი - მაზანაშვილი მარიამი (გორი);
2 ადგილი - კალაძე ანა (თბილისი);
3 ადგილი - თვაური ხათუნა (საგარეჯო);
3 ადგილი - გულედანი მარიამი (თბილისი).

60 კგ.
1 ადგილი - რევაზიშვილი თინათინი (საგარეჯო);
2 ადგილი - კოხტაშვილი მარიამი (საგარეჯო);
3 ადგილი - გურგულიანი მარიამი (თბილისი);
3 ადგილი - დოლიძე თამუნა (თბილისი).

70 კგ.
1 ადილი - ჩხაიძე ქეთინო (ბათუმი);
2 ადგილი - თეთრაძე მარიამი (აბაშა).

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.